

ფასი 10 კაპ. 1908 7 დეკემბერი.

# აკაკის დღე საქართველოში

სალიტერატურო მხატვრული ალმანახი

ვალერიან გუნიას გამოცემა

## აკაკის ბუნება

მეტად რთულია აკაკის ბუნება: მასში იდუმალ არიან ხლართულნი მისი პიროვნება და მისი შემოქმედება. მართალია: აკაკის პიროვნება და შემოქმედება სხვა და სხვაა, მაგრამ ისიც მართალია, რომ ისინი ერთი მეორის გარეშე წარმოუდგენელ არიან.

აკაკის ბუნება ქართველების ბედის ნატეხია. ყოველი ერი წარმოადგენს სულიერ რეალობას: იდეა პლატონისა, მონადა ლეიბნიცისა. იგი ხორციელდება, ესე იგი, ვითარდება, სრულდება, ისტორიას განიცდის. ამ პროცესში იგი თვალს ახსნის, ცნობას აღწევს, ენას იდგამს, მეტყველებას იღებს. ეს არის ერის პირველი დაბადება, გარნა, შესაძლებელია, რომ მან დროებით მიიძინოს: მაშინ ერს თვალი ებინდება, ცნობა ეკარგება, ენა უჩლუნგდება, მეტყველება უძნელდება. ხანგრძლივ ძილის შემდეგ ერი იღვიძებს: თვალს ისევ ახელს, თავს ისევ სცნობს, ენას ისევ ამოძრავებს, ისევ მეტყველებს, ეს არის მისი მეორე შობიერება.

აქ შეიძლება აიხსნას აკაკის ბუნება. მოვიყვანოთ საგულისხმიერო პარალლელი: აკაკი და პუშკინი.

პუშკინი რუსობის პირველ დაბადების შვილია; აკაკი— ქართველობის მეორედ დაბადებისა.

პუშკინი მოევლინა რუსეთს მაშინ, როცა რუსობის სული დილის ბინდში იყო ხვეული; აკაკი აღმოჩნდა მაშინ, როცა ქართველობა საღამოს ბინდით იყო მოცული.

პუშკინამდე რუსობის სულს მზე არ უნახავს, მაგრამ გრძნობს კი, რომ ამოვა,—და პუშკინიც ელოდება მის ბრწყინვალე ამოსვლას; აკაკიმდე ქართველობის სულს მზე კიდეც უნახავს და აკაკიც სევდით ელის მის მეორე ამოსვლას.

პუშკინამდე რუსთა ძალა ბარბაროსობაში იმყოფებოდა: მან პუშკინიდან იშვა თავი კულტურისაკენ; აკაკიმდე ქართველთა ძალას უკვე უგრძვნია თავი კულტურაში: აკაკიდან მას უნდა მხოლოდ განაგრძოს იგი.

პუშკინი პირველი სიტყვაა ახლად გამოსულ ხალხისა; აკაკი მეორე სიტყვაა გაღვიძებულ ხალხისა.



აკაკის 50 წლის იუბილეს გამო

პუშკინი მომავალს სიხარულით შესცქერის აკაკი სევდით გასცქერის წარსულ ხანასა.

პუშკინის ჩანგის ჰანგი შვება-ლხენაა; აკაკის სტვირის მოტივი ნაღველი და კაეშანია.

პუშკინის ჩანგი ჟღერს და მღერს; აკაკის სტვირი მოსთქვამს და სტირს.

პუშკინის მუზა ლაღია: მას **ბევრი რამ ახარებს**, —ამისთვის იგი მრავალფრთოვანია; აკაკის მუზა ნაღვლიანია: მას **ერთი რამ აწუხებს**,—ამისათვის იგი ერთფრთოვანია.

აქ სწყდება პარალლელი. ის „ერთი რამე", რაც აკაკის აწუხებს, არის სწორედ ამხსნელი მის ბუნებისა. ქართველობა თვის მეორე შობიერებაში ტრაგიზმს განიცდის—და მისი ღვიძლი შვილი აკაკი ამ ტრაგიზმის საგულისხმიერო მატარებელია. ქართველობის მებრძოლი სული აკაკის ბუნებაში განსახიერდა, ხოლო ამისთვის მისი პიროვნება ქართველთა სახის მსხვერპლად იქცა. აქ არის ჩამარხული საიდუმლოება აკაკის პიროვნებისა და მის შემოქმედებისა: აკაკი ნამდვილი პიროვნებაა მხოლოდ მაშინ, როცა ჰქმნის, ამ საიდუმლოებას მხოლოდ მომავალი გახსნის.

ეხლა კი უნდა ითქვას: შესწყვიტონ ლაპარაკი აკაკის პიროვნების შესახებ „თავისუფლად" მსაჯულებმა, თორემ ისტორია მათ უფრო გასაჯავს!

ჩვენ ვდღესასწაულობთ აკაკის იუბილეს არა მარტო იმიტომ, რომ აკაკი პოეტია (როგორც ეს უმრავლესობას ჰგონია), არამედ იმისთვისაც, რომ აკაკი ქართველობის იდუმალი თან მეტყველი სახეა.

ქართლის მომავალი ბედი ამ სახის გამოცნობაშიაც სდევს.

**გრიგოლ რობაქიძე.**

## აკაკის

დიახ, ოსანნა მაღალთა შინა,
დიდო მგოსანო, ჩვენო ნათელო!
ღვაწლი დიდია შენი ჩვენ წინა,
რასაც ღაღადებს დღეს საქართველო.
ნეტარი ჟღერა ტკბილი ჩანგისა
შვების ღიმილით დაჰქრის ქვეყანას
და გამრეცხელი გულის ჟანგისა
გვითხრობს მომავლის ტკბილ გამოცანას...
და შენი გრძნობა, ერთობის ტრფობა,
ქართველსა სტაცებს გულითად სალამს
გაიხარებდე! ქართველთ ერთობა
აღუდგენია შენს ღვთიურ კალამს!

შვების დაუკარ, ივერო, ქნარი!
ბნელი გაირღვა სამშობლო ცისა
და ეს გამრღვევი ნათელი არი
მოხუცებულის ჰაღარა თმისა!

**ი. მჭედლიშვილი**

## აკაკის

ჩვენის ქვეყნისა სასიქადულოვ,
და ბურჯო ქართველთ ხელოვნებისა,
შენ სამუდამო და მშვენიერი
შეჰქმენ დიდება ჩვენის ერისა!

დაასურათე და განაცოცხლე
ჩვენის წარსულის ხანა დიადი,
აწმყოს უფერულს შენ მოაშორე
ზედ გადაკრული შავი წყვდიადი

შენის კალმისა ტკბილ-მწარე ძალა,
მგვრელი სიცოცხლის და აღტაცების,—
უშრეტ ცეცხლია მაღალ გონების,
ამნთებელია სპეტაკ გრძნობების!..

**გურული ქალი**

## დიდებულ იუბელარს აკაკის

საქართველო ჩანგათა გაქვს
ეს ორმოცდა-ათი წელი,
ზედ სიმებათ გადაგიბამს
სხვა და სხვა კუთხის ქართველი.

მამობრივი წმინდა გრძნობით
ჩანგი გულზედ გისვენია,
შენი ერის სასიკეთოდ
შრომით არ მოგისვენია.

ტკბილის ხმითა აჟღერებდი
შეწყობილსა მაღალს ჰანგზედ,
წარსულს, აწმყოს დასტიროდი
და ხარობდი მომავალზედ

დაჩაგრულებს უმღეროდი
ძმობასა და ერთობაზედ,
იმათ შვილებს გზას უხსნიდი
განათლების ნიადაგზედ

მიძინებულთ მამულის შვილთ
აღვიძებდი ზარის ხმაზედ,
ვაჟკაცობას ავალებდი
და გაგყავდა ბრძოლის ველზედ.

ჰა! ქართველნი—კაცნი, ქალნი,
განურჩევლად წოდებისა,
ბედნიერნი, უბედურნი,
ხვედრი მწარე ტანჯვებისა,

ერთის გრძნობით აღჭურვილნი
აძგერებენ ტკბილად გულს,



**შემოდგომა გარედ და შიგნით!** — რიცონის ნახატი.

# საიუბილეო სალამი.

ძვირფასო მგოსანო და მამულიშვილო აკაკი!

ორმოცდა ათის წლის წინად, როცა თქვენ უნდა აგერჩიათ გზა ცხოვრებისა და მოქმედებისა, გამოგეცხადათ მთელი გუნდი მაცდური სირენებისა.

პირველმა მაცდურმა სირენამ მოგმართათ ამ სიტყვებით: „მე ვარ მოციქული ძლიერის ბიუროკრატიისა; თუ ჩვენს გზას აირჩევ, მომავალში მოგელის მსუქანი ჯამაგირი, ჩინები, ორდენები, გენერლობა, ძალა და პატივი, განცხრომით ცხოვრება და ბოლოს დიდი პენსია სიბერის დასატკბობელად“.

თქვენ ამ სირენას იმწამსვე ზურგი შეაქციეთ.

მეორე მხრიდან წარმოსდგა სხვა მაცთური სირენა და მოგახსენათ: მე ვარ მოციქული უძლიერესის ძალისა—ოქრო-ვერცხლისა, კაპიტალისა. თუ თქვენ ამ კაპიტალის სალაროებს, ბანკებს შესწირავთო თქვენს მაღალს ნიჭსა, ოქრო გექმნებათ იმდენი, რამდენსაც თქვენი გული მოისურვებს. ამასაც ზურგი ფიცხლავ უჩვენეთ·

მეორე მაცთურს სირენას მოჰყვა მესამე, მესამეს მეოთხე, და ყველანი გპირდებოდნენ ვარდით ფენილს განცხრომის გზასა, თუ მათ შეუსმენდით და მათ გზას დაადგებოდით. მაცდურებს აძლიერებდა ისიც, რომ ამათ ყველას აჯდა ბეჭედი ისეთი კეთილ-დღეობისა, რომ კანში ძლივს ეტეოდენ. ესენიც ვერას გახდნენ.

ბოლოს წარმოსდგა თქვენ წინაშე სხვა გვარი სირენა. იგი იყო პატარა, გამხდარი, მწუხარე ფერ მიხდილი; მაგრამ მომხიბლავი სიმშვენიერით მოსილი. მან მოგმართათ თქვენ ამ სახით: მე ვარ მოციქული შენი პატარა, დაჩაგრულის, გაღარიბებულის, უკიდურესად შევიწროებულის სამშობლოსი. თუ შენს საოცარს ნიჭს შესწირავ შენს უბედურს სამშობლოს, გზა ცხოვრებისა შენისა ეკლით იქნება სავსე; შენ არ მოგაკლდება არც სიმშილი, არც წყურვილი, არც სიტიტვლე და არც სხვა გვარი ტანჯვა-წვალება. მაგრამ სამაგიეროდ შენ დაიმსახურებ მთელის შენის ერის უმხურვალესს და ულრმეს სიყვარულსა, იმისთანა გულ წრფელს სიყვარულს, რომელიც შეუძლიან მხოლოდ დაჩაგრულის ერის გულსა.

თქვენ აღტაცებაში მოხვედით და გულში ჩაიკარით სამშობლოს სირენა. ორივეს მდუღარე ცრემლმა შეჰკრა, შეადუღა დაურღვეველი კავშირი და ზეციდამაც კურთხევა მოისმა.

იმ დღიდან, ორმოც და ათის წლის განმავლობაში, თქვენი გენიალური მუზა განუწყვეტლივ, შეუსვენებლივ ემსახურებოდა მხოლოდ ერთად ერთ მაღალს დანიშნულებას: სამშობლოს აღდგენას, ამაღლებას, აყვავებას. ეკლიანს გზას არც ერთხელ არ შეუდრეკია თქვენი მამულიშვილობით აღსავსე გული.

და აჰა სავსებით აღსრულდა აღთქმა და წინასწარმეტყველება მადლით მოსილი სირენასი: მთელი საქართველო შავი ზღვიდან დაწყებული დაღესტანამდე და კავკასიონის ქედიდან მოკიდებული სომხითამდე, მოზღვავებულა რომ თავის წარმომადგენელთა პირით განგიცხადოს უმხურვალესი სიყვარული და უდიდესი მადლობა ორმოც და ათის წლის აუწერელი ღვაწლისათვის.

გადიდებს, გულწრფელად გადიდებს, მთელი შენი სამშობლო და ამ დიდებაში ღირსეულად ბანს

აძლევენ ჩვენი მოძმე შეზობელი ერები, და ამითი ცხად ჰყოფენ, რომ ჩვენი ლხინი მათი ლხინიც არის და ჩვენი ჭირი მათი ჭირიც იქმნება, რასაც მადლიერი ქართველობა არას დროს არ დაივიწყებს.

**იაკობ გოგებაშვილი**

# სამშობლოს
(al mia amiko*)

აჰყვავდი, ჩემო სამშობლოვ,
დრო დადგა აყვავებისა;
ია და ვარდი გამკობდეს,
როგორც შენ დაგშვენდებისა!
შენი ძვირფასი ბუნება
ბევრს შენსკენ ერეკებისა,
მომხიბლავი ხარ ედემო,
თუგინდ უგულო მტერისა!
ვინც შენს შვენებას იხილავს
წასვლა არ აგონდებისა;
თვისი სამშობლოც შორს ახლდეს
მისთვის არ დაღონდებისა!
აჰყვავდი, ჩემო სამშობლოვ,
დრო დადგა აყვავებისა;
ყველამ შევიგნოთ სხვის ხელში
ერი რომ იჩაგრებისა!..

ლ. მელაძე

## სიმღერა
„Въ полночный часъ"...

სატრფომ გულისა
გამაგულისა!..
ვერ მიხვდი, ტურფავ, რისა ვარ მთმენი
შენ ვერ გაიგე—
მახე დამიგე...
შენ გენაცვალე, ჭირიმე შენი!
რა დაკრავს ბინდი,
ჩემთან მოფრინდი...
მაშინ დავლოცო შენი გამჩენი...
ამშვიდე გული,
აძგერებული...
შენ შემოგევლე, ჭირიმე შენი.
დამიცხრე ვნება,
ბედნიერება
ერთს წამს მაჩუქე... კმარა ამდენი...
წუხილი გულის,
შენგან დაგულის,
გთხოვ დამიმშვიდო, ჭირიმე შენი!..

**თომა პუსა.**

*) Al mia amiko=ჩემს მეგობარს, „ესპერანტოზე".

# ორი გზა

ნუ ყნოსავ ვარდს—გაგაბრუებს და შესწირავ მისს ეშხსა ყველას; ბულბულთ სტვენას ყურს ნუ უგდებ—მოგხიბლავს და გაგიტაცებს; ნუ შეხედავ ლაჟვარდ ცასა—აგატოკებს, აგაღელვებს; სხივი ახლო არ მოუშვა—გაგიღვიძებს გულისათქმას; ნუ შესცქერი ლამაზს თვალებს დაგიმონებს,—შეგიყვარებს! თუ კი ამას მოახერხებ სასუფეველს ნახავ ღიას, და საფლავის მოსართავად ანწლს, გუმბრას და ლურის—გუდას.

თუ გვირგვინით შეიმკობ თავს, დასტკბები და სხვას დაატკბობ, თუ სიმღერას გულს გაუხსნი, ჩაჰკაკანებ სხვას სიყვარულს; თუ დაყნოსავ ზამბახს, იას და სხვას ესვრი საყნოსველათ; თვალთაგან თუ ისარს ისვრი და სხვის ისარს არ აკრავ ფარს; თუ მზის სხივებს გაცრცვილ ტანზე ათამაშებ, აკოცნინებ; სიგრილეში მიბნედილი თუ გაწვები საალერსოთ—ჯოჯოხეთი გაიცინებს, სატანასგან წვალებული გულს მიგიკრავს ფუფუნება, და საფლავზე გაიზრდება თვალთ-წარმტაცი პან რამა: მარმარილოს ქანდაკება ხელ-ჩახვეულ ქალ-ვაჟისა; დაუმალავს მთლათ ფეხები ქვევით მოზარდ დაფნის ფურცლებს; ვაზის შტონი მათ ურტყამენ; ვაჟის მხარი მხოლოდ ოდნავ ყურძნის მტევანს ეკარება, ქალწული კი კრთომისაგან იასამანს ეფარება; აგერ-ეგერ ვარდი, ვარდი; ბულბული სტვენს...

-გენატრება?..

**ნ. ლორთქიფანიძე**

## ამხანაგს

ნეტა რად უნდა გვრცხვენოდეს
„სამშობლოს" თქმა, სიყვარული,
როცა მასთან მიჯაჭულა
ჩვენი გრძნობა, ჩვენი გული?!

განა ძალგვიძს არ გვესმოდეს
გულის ამოძახილია:
როს სამშობლო შველას ითხოვს
მონობის ქვეშ დახრილია?!

არა, არა ამხანაგო,
სამშობლოს ნუ უკადრისობ!
განდგომით და მეტი ჩრობით
შენს სიცოცხლეს შენს ხელით სპობ?

ქენევა.

**ლ. ჯაგრელი**

# პრიგავარის ღვდელი

(ამბავი)

I

„მადლობა შენთვის, ღმერთო, თუ სადმე ხარ! რა დრო მოიყვანე, შე დალოცვილო, ოჰ! რამდენს მოუშხამე ტკბილი ცხოვრება და ჩაუგდე კოვზი ნაცარში! ხოლო მათ ნაცვლად რამდენი მოსწივე მოულოდნელ ბედს და გადაუშალე წინ უხვი სუფრა!.. მე და ღვდელი?!. სიზმარში კი მომეჩვენებოდა ღვდელობა, რომ ეს დრო არ დამდგარიყო და უწინდელი ღვდლობა იყოს? ეხლა ანაფორა მაცვია! სიზმარიც ხომ არაა—ცხადია! აბა, რო იტყვიან, წინანი უკანათ და უკანანი წინათ, სწორედ ეხლა ჰხდება ნათლად და სინამდვილით. მეც ღვდელი, ჩათლუაც ღვდელი, ისიდორეც ღვდელი!“

„ახლა რამდენი იწვალა ამ საცოდავმა ისიდორემ! ეს უჩილიჩათ, ეს სემინარიათ, ეს აკადემიათ,—ბოლოს ისევ ღვდელი, როგორც მე და ჩათლუა. ახ, ჩათლუავ, შე პირძაღლო, ნეტავი ერთი ამ საათში აქ მომიგდო შენი თავი, რომ თავით-ფეხამდე გადაგლოცო! შენ გამაბედნიერე, თორემ მე ფიქრად კი მომივიდოდა როდისმე, რომ ღვდლის ანაფორას ჩავიცვამდი? მართალია ხანდახან ვოცნებობდი მთავარდიაკვნობაზედ, მაგრამ მიუწვდომელად ვთვლიდი ამ ოცნებას. კაცი ცხოვრებაში ჩაებას, ღვინოს ტუჩი მოჰკიდოს; სხვისა ჭირშიაც და ლხინშიაც ერთნაირად ეწაფებოდეს ნუნუას, და მხიარულად, სიამოვნებით დროს ატარებდეს და სწავლა-მომზადებისათვის-და მოიცადოს და მოინდომოს?! რაც მთავარდიაკვანი, ის ფსალმუნჩიკი. რისთვის-და უნდა ამეტკივა აუტკივარი თავი. მაგრამ როცა ჩათლუამ ჩაიცვა ანაფორა ღვდლისა, მაშინ-კი, ღვთის წყალობა, მე შამასხურა სიმშურნემ!

„როგორ, ჩათლუამ რომელი სემინარიის ან უჩილიჩის კარები გადალახა? ან რითა მჯობდა მე? პირიქით მე იმას ყოველთვის ვჯაბნიდი. მართალია ის უფრო ბევრგან არის ნათრევი და გაუმშაკებული და საერის კაცოც ყველაფერი კარგად ესმის, მაგრამ საეკლესიოში კი მე ყოველთვის ვცალავდი და დღესაც ვჯობივარ. თუ კაცია და წინ წამიდგეს ან კითხვაში, ან გალობაში! ღვდლისათვისაც ესენია საჭირო. თავის დღეში მე იმას ქვეშ არ დავრჩომილვარ და ეხლა ცოცხალს თავით გაუშვებდი მე იმას ჩემზედ წინ? იმის ჯიბრზედ მოვკიდე ხელი მომზადებას, თორემ.... მოვკიდე და გადეც მივაღწიე საწადელს“!

„მოძღვართ-მოძღვარი რომ მკითხავდა ხოლმე, შური და მტრობა ხომ არა გაქვს გულშიო. არა, შური რომ არა მქონოდა, ამ ადგილს მივაღწევდი? რათ უნდა იყოს შურიანობა წინააღმდეგი ან ღვთისათვის ან კაცისათვის, როცა მან გამაკეთა, კაცად მაქცია“!

„ეგ არის, ბევრი დამეხარჯა ღვდლობის შოვნაში. მომზადებაში ამაძრო ბევრი, მაგრამ, რა უყოთ, უამისობაც რომ არ შეიძლებოდა—ფეხი შიგ ედგა-და! კიდევ ღმერთმა უშველოს ჩვენ ამხანაგებს, თორემ „პროგავარშიაც“ ბევრს ამაგრებდნენ. თუმცა კი, სწორედ რომ ვსთქვათ, არც ისე ბევრია ჩემი დანახარჯი. აბა ისიდორემ იანგარიშოს, რამდენი დაეხარჯათ მის მშობლებს უჩილიჩაში, სემინარიაში, აკადემიაში; მის დანახარჯთან ჩემი—სათქმელიც არ იქნება. განსხვავება კი მე და ისიდორეში რა არის?—ისიც ღვდელია, მეც. შარცხვეს, ვინც იმაზედ ნაკლებ აუგოს მიცვალებულს ანდერძი! ის ქალაქის ღვდელია და მე სოფლისა?—მე რომ ბატონი ვიქნები ჩემი მრევლისა და ის კი მონაა თავის მრევლისა,—ეს არაფერი? აბა მიყუროს, როგორ სჩქაროდ ავაყენო ჩემი დანახარჯი მრევლის კისრიდგან! ისიდორე ხომ ვერ მოესწრება ამას! მართალია შედავათი ავუთქვი მრევლს პრიგავარის შედგენის დროს, მაგრამ ეს არაფერი; ჯერ ჩავდგა ფეხი მრევლში: იმისი ცოცხალთ იციან, მკვდარს საით უზამენ თავს,—ამხანაგები იქ მეყოლებიან. თუნდაც რომ შევასრულო აღთქმული, რასა ვკარგავ? მაინც იმაზედ ხომ ბევრით მომეტებულს ავიღებ, რასაც პრიჩეტნიკობაში ვიღებდი“.

„მერე რაც მეკუთვნოდა, იმასაც ხომ სრულად არ მაძლევდა ჩემი ღვდელი.... ჰო, აბა მიყუროს ეხლა ჩემმა პატიოსანმა ღვდელმა! რაო? რას ვამბობ? „ჩემმა პატიოსანმა ღვდელმაო“? რის ღვდელია ის ეხლა ჩემი?—ღვდელი კი არა, ნაღვდელარია! ერთი კი დავეტაკები და... საცა წვრილია იქ გაწყდეს. თუ ვერ ვასროლინო კუდით ქვა და ვერ წამოვსკუპდე მის ადგილზედ მაშ მე ბიჭი არ ვიქნები“!

ასე ფიქრობდა და ლაპარაკობდა თავისთვის ერთ-ერთ იაფ-ფასიან სასტუმროს ოთახში სადამო ლოცვიდამ დაბრუნებული იმ დღით ახლად ნაკურთხი ღვდელი მაქსიმე ქერეჭაშვილი.

II

მაქსიმე პირველ ცოლთან დაბადებული ვაჟიშვილი იყო მტატ გარეშე პრიჩეტნიკის (შემდეგ გადასახელებულ პსალმუნჩიკად) იოსებ ქერეჭაშვილისა.

ვიდრემდის მაქსიმეს დედა ცოცხალი ჰყვანდა, მამაც, მისი სიყვარულით მოსდიოდა, თუ ცოლს ხათრით ანუ შიშით, ყურადღებით ექცევოდა მას. რადგანაც საშუალება არ აძლევდა ხელსა და ღირსს, რომ სასწავლებელში მიეყვანა იგი, თვითონ მამა შეუდგა მისს აღზრდას და გულს მოდგინედ ასწავლიდა ჟამნ-დავითნს. ხოლო, როცა დაქვრივების შემდეგ მეორე ცოლი მოიყვანა და მასთან ეყოლა სხვა შვილები, მაქსიმეზედ

სრულად გული აჰყარა და მიანება თავი. მაქსიმემაც ჟამნ-დავითნს მიანება თავი და დაიწყო გარეწრობა.

ჯერ სამშობლო სოფელში დახეტიალობდა უსაქმურად მაქსიმე, მერე აქეთ-იქით სოფლებში გაეხვია; ბოლოს ტფილისისაკენ გამოსწია. აქ პირველადვე რკინის გზის ლიანდაგზედ უბრალო მომუშავეთა წრეში მოჰყვა. მაგრამ მუშაობა ლიანდაგზედ, ცოტა არ იყოს, სამძიმოდ ეჩვენა; მალე დაანება ამას თავი და ერთ სავაჭროში მივიდა ბიჭად. ეს საქმეც ვერ ჰპოვა მაქსიმემ თვისი ბუნების შესაფერად; ისევ ეკკლესიის „სტოროჟობა" ირჩია და იშოვნა კიდეც ისეთი ადგილი ერთ-ერთ ტფილისის ეკკლესიაში. „სტოროჟის" ყოფა-ცხოვრება უფრო მყუდროდ ეჩვენა მაქსიმეს და აქედგან ფეხი ადარსაით მოიცვალა. აქ ხელი მიჰყო ისევ მამა-პაპურ საქმეს — ჟამნ-დავითნს და შრომამაც არ ჩაუბარა უნაყოფოდ. „პსალმუნჩიკის" ეგზამენია დაიჭირა და „გამწესებულ იქმნა" შტატის პსალმუნჩიკად ოსეთის ერთ-ერთ მიყრუებულ პრიხოდში. ხოლო მისმა ბედმა ისე იმუშავა, რომ ექვსი თვის შემდეგ დაიცალა ადგილი სოფელ გვემულში, სადაც გადაიყვანეს ისევ შტატის ადგილზედ.

ახალ ღვდელს ვერ შეეწყო კარგად მაქსიმე, — ხშირად მოსდიოდათ ჩხუბი. ღვდელი ძრიელ შეეცადა მის მოშორებას, მაგრამ ვერა გზით ვერ მოახერხა. მეტადრე ახალმა მოძრაობამ შეუშალა ამაში ხელი და ენა მუცელში ჩაუგდო ღვდელს. მაქსიმე კი პირ იქით უფრო წააქეზა და გაათამამა ამ მოძრაობამ ღვდლის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაქსიმემ თვისი თავი სოციალ-დემოკრატად გამოაცხადა. მალე ცოლიც შეირთო და ამით უფრო მოიკრიბა ძალ-ღონე ღვდელთან საბრძოლველად: რადგანაც ცოლში ჰპოვა წრფელი თანამოაზრე და მედგარი მომხრე უკვე ატეხილ ბრძოლაში.

ცოლი მისი ღვდლის დარჩომილი ქალი იყო. როგორც თვითონ ქალი არწმუნებდა მაქსიმეს, ბევრ სემინარიელს უთხრა მან უარი. ხოლო ეხლა მაქსიმე ქერეჭაშვილზედ გათხოვდა იგი მისთვის, რომ „მხოლოდ შენ დააკმაყოფილე ჩემი წარმოდგენა ქმარზედაო", ეუბნებოდა ხოლმე ხშირად ცოლი ქმარს.

ერთმანეთი მათ გაიცნეს მიტინგებზედ. ქალმა პირველმა მოიწონა მაქსიმე და მისი „მიმართულება" და პირველადაც მან მისცა წინადადება ცოლქმრობაზედ: შეერთებულის ძალით უფრო ნაყოფიერად ვიბრძოლებთ დაჩაგრული ხალხისათვისაო", — დაუმატა მან, როცა გაუმჟღავნა თვისი გარდაწყვეტილება საქმროს. ჯვრის წერაც აღარ დააგვიანეს. თუმცა სასძლო იმ აზრისა იყო, რომ ჯვრის წერა სულ მეტი იყო, არაფერს ჰნიშნავდა, ვერცარაფერს მოუმატებდა მათ, და ჯვარდაუწერავადაც მტკიცე ცოლქმრული კავშირი ექნებოდათ. მაგრამ თვით მაქსიმეს სამსახურისათვის შეუძლებელი და კანონიერად შეუწყნარებელი იყო ჯვარ დაუწერავობა.

როგორც მოსალოდნელი იყო, შეუღლების უმალვე ღვდელზედ მიიტანეს ძლიერი იერიში. ომისთვის საბუთიანი მიზეზი და მასალაც ჰქონდათ ხელთ — სამღვდელოთ კრების გარდაწყვეტილება: მიეცეს პსალმუნჩიკებს მესამედი შემოსავლისა, ნაცვლად მეოთხედისა. ომი საჩივრით დაბოლავდა, რომელსაც მოჰყვა შედეგად მაქსიმეს უადგილოდ დათხოვნა. მაგრამ ზოგი სიმამრის მეცადინეობით, ზოგი ნაცნობების დახმარებით ზოგიც თვით დათხოვნილის გაუწყვეტელი თხოვნების წყალობით, ორი თვის შემდეგ მიიღეს იგი უკანვე სამსახურში და ისევ ოსეთში გაამწესეს.

## III

ჯერ სრულად დათხოვნა ადგილიდამ, მერე ისევ ოსეთში გადაკარგვა ადვილი ასატანელი და მოსანელებელი არ იყო „დაჩაგრულების მფარველთა და მათი ინტერესების დამცველთათვის," მაგრამ აუშფოთებლივ მიეგებნენ და სულის სიმშვიდით აიტანეს ეს განსაცდელი. მიზეზი ამისა, მგონია, ის უნდა ყოფილიყო, რომ მათ ახალ ყვავილობაში დაატყდათ თავს ეს განსაცდელი. და ნეტარება ახალ ყვავილობისა უსიამოვნო გრძნობათ აღარ აძლევდა ადგილს მათ გულში. მართალია, ხანდის-ხან კი ეწვეოდათ ხოლმე მათ, დაუპატიჟებლად, შემაძრწუნებელი ფიქრები, მაგრამ ერთი ერთმანეთის გამხნევებით მალე გაჰფანტავდნენ ხოლმე ამისთანა ფიქრებს და უმალ აღივსებოდნენ იმედით უკეთესს მომავალზედ.

იმედის განხორციელებამ მოლოდინს უსწრო. აქ, ოსეთში, შეიტყო მაქსიმემ, რომ მისმა სტოროჟობაში ნაამხანაგარმა და მეგობარმა ჩათლუმ (გამოცვლილი სახელია) ისარგებლა იმ დიდი წყალობით, რომელიც მოუვლინა სამღვდელო კრებამ თვისი დადგენილებით (მთავრობის მიერ დამტკიცებულით) სამრევლოებს — ამ უკანასკნელთ „სასარგებლოდ" და „საბედნიეროდ."

ჯერ დათხოვნილი არ იყო მაქსიმე სამსახურიდამ, როცა მას შეჰხვდა ერთხელ ჩათლუა და სადამის შემდეგ მიჰმართა მას: — ბიჭო, მაქსო, ჩვენთვის რომ ცა გაიხსნა, შენ არ იცი? — ამას იქით მრევლმა თვითონ უნდა ამოირჩიოს და' მოითხოვოს ღვდლად, ვინც უნდა.

— მერე შენ რა მოგეცხობა?

— რას ამბობ, ეი, ჩვენ ჩავიქეცით ძველი ბოგირებივით, მაშ! გადავიცვათ ანაფორები და ვიქეიფოთ!

— სწორედ ოქროს ლაგნით მოგართმევენ, აი! გასუნებინებენ-კი, შე საწყალო, ღვდლის ანაფორისათვის?

— შენ ჰნახავ, თუ არ მასუნებინებენ!

— განა არა, ჩაუბულბულებ ეგზამენიაში ღვთის მეტყველებას!

— ღვთის მეტყველება რა ეშმაკად გინდა?— რაც საჭიროა-კი, ჩავაბულბულებ-კი არა, მეტსაც ვიქმ. არა, ფეხებს-კი არ მომ. . ., რომ არ ჩამაბულბულებინებენ. ე სემინარიელებმა ხომ ბოიკოტი გამოუცხადეს ღვდლობას; დაგვრჩა ბურთი და მოედანი ჩვენ-ჩვენს მეტი გზა რომ აღარა აქვთ, მოდი და ნუ ჩამაბულბულებინებენ და ნუ მაკურთხებენ!

— ნეტავ თხა იყოს, ტყუპი მაიგოს.

— ბიჭო, სად ხარ? თვალს რატომ არ გაახელ და ყურს არ გამოიბერტყავ?— სოფელს ისე გაურბის ყველა ნასწავლი ხალხი, როგორც ჭირს. ჩვენთვის-კი რომ ვსთქვათ, განა გასამტყუნარნი არიან? რამდენი ხარჯი მოჰხვედრიათ, რამოდენა ტანჯვა და ვაი-ვაგლახი გამოუვლიათ სწავლის შეძენაში! გიჟები უნდა იყვნენ, რომ სოფლად გამოვიდნენ, აქ რაიმე საქმეს და სამსახურს შეუდგნენ და გამოვლილ ტანჯვას კიდევ ტანჯვა დაურთონ. მე რომ მათ ადგილს ვიყო, მე კი გამოვდგამდი სოფლად ფეხს? – შენ არ მომიკვდე! არა, სად სოფლელ ტეტიებთან ჩიჩინით თავის ქანცს აგდებინებს და სად განათლებულ საზოგადოებასთან დამოკიდებულება, განვითარებულ სწორ-ამხანაგებთან მუსაიფობა და ბაასი თუნდ იმავე სოფლის საქმეებზედ? სად მკვდრების მარხვა და სად კაბინეტში ჯდომა და იქიდამ სოფლის ყურის გდება და პატრონობა, როგორც დაწესებულია ეს ნასწავლ ხალხისათვის? იმაზედ ადვილი რა არის, რომ იჯდე შენთვის კაბინეტში; თვალით არა ჰხედავდე შავდღეში ჩავარდნილ სოფლელს, ყურით არ ისმენდე მის ტანჯვა-ვაებითი კვნესას. მხოლოდ წარმოდგენილი გქონდეს, რომ სოფელსაცა და სოფლელსაც შავი დღე და ტანჯვა თავს დასტრიალებენ. ეძებდე და, მით უფრო სასტიკათა და თავგამოდებით, ჰკიცხავდე ამ უბედურებათა მიზეზებს, რომ, იცი, შენ თავს ამ კიცხვით მცირეოდენათაც არ შეჰბღალავ, რადგანაც სოფელზედ შორსა ჰდგეხარ და პირადად არაფერი კავშირი და დამოკიდებულება არა გაქვს მისს ავ-კარგიანობასთან.

მეტი რაღა ბედნიერება გინდა, რომ ადგენდე შენთვის პლანებს მაზედ, თუ როგორ შეიძლება დახსნა სოფლისა გაჭირებიდგან, მოსპობა მასში ყოველგვარი ბოროტებისა და უწესოებისა და გაბედნიერება მისი; და თანაც დარწმუნებული იყო, რომ უებარი წამალი აღმოუჩინე სოფელს ჭირ-ვარამისაგან განკურნებისათვის.

მენმა გაზდამ, თუ კი ავიღებდი კალამს ხელში, ისე ავაყვავებდი სოფელს ყოველგვარი სიკეთით, ისეთ ბედნიერებას გწევდი მას, რომ იმას იქით ადამიანის სურვილი ვეღარ წასულიყო. როგორა გგონია, ძნელია განა, ავიღო კალამი და გავაჭრელო: მე ძრიელ მომისდება და სასარგებლოც იქნება ჩემთვის, რომ მქონდეს, თუნდ სადმე მივარდნილ სოფელში, კაი ორსართულიანი სახლი, მის გვერდზედ გადაჭიმული ბარაქიანი ზვარი; სახლის წინ ფართო, ყალთაღიანი და სუფთა ეზო; ეზოში იდგეს დიდი კაკლის ხე, ვიჯდე მის ქვეშ და ბატონკაცურად ხელში კრიალოსნის თამაშობით, ვემუსაიფებოდე და ვესაყვარლებოდე ცოლსა და შვილებს (თუმცა კი ვიცი, შვილები არ დამიდგებოდნენ სოფელში, თუ განათლებას მივცემდი). ეს უფრო ადვილი და სასიამოვნო საქმე არ იყო ჩემთვის, ვიდრე დღისა და ღამის გატეხვა; ეგზემენიისათვის მომზადება და თავში ცემა? იქნება სახლიც ავიშენო, ზვარიცა და სახნავ-სათესიც ბევრი მოვიპოვო თავის დროზედ, მაგრამ კიდევ რამდენი შრომა-ტანჯვა და ვაი ვაგლახია ამისათვის საჭირო ეგზემენის დაჭერის გარდა?

ეჰ, ჩემო მაქსო, თვალი მიავლ-მოავლე აქეთ-იქით, რო კარგა დაინახო, რაცა ჰხდება ქვეყნიერობაზედ და! სადაც ნაკლები შრომაა საჭირო, იქ დიდი ჯილდოც არის დაწესებული ამისთანა შრომისათვის და ნასწავლი ხალხიც, როგორც ჭკვიანები, ამ მცირე შრომასა და დიდ ჯილდოს ელტვიან ყოველთვის.

— მე დასაქცევო, შენა, მე რომ სწავლა მიგეღო სადმე, რამიშვილს ეფალში ჩაჰფლავდი!

— ვისაც შნო და უნარი აქვს, საითაც მიიხედ-მოიხედავს, ყოველგან სწავლასა და ჭკვას შეიძენს,— არ იყო, ცოტა თავ-მოწონებით წარმოსთქვა ეს სიტყვები ჩათლუმ და გააგრძელა— ჰო, იმას ვამბობდი. რამდენი მაგალითი ვიცი, რომ თითო სოფლიდამ ხუთ-ხუთ ექვს-ექვსი, და ზოგან მეტიც; არიან ზოგი სემინარია გათავებულები, ზოგი გიმნაზიელები, ზოგიც მაღალ-სასწავლებელ დასრულებულნი, რომ ქვა მიუგდიათ თვისი სამშობლო სოფლისათვის და ქალაქებში სხედან. კი ნუ გგონია გულის წყრომით ვამბობდე მათზე ამას; არა პირ იქით მადლიერნი უნდა ვიყვნეთ მათი: რადგანაც მათ ამისთანა ქცევას პირდაპირ ჩვენი ბედნიერება მოსდევს. მართლაც და რა იქნებოდა ჩვენი ყოფა, რომ ყველა ნასწავლი და განათლებული კაცი სოფლიდამ ქალაქში არ გარბოდეს! ხომ სიმშილით უნდა ამოწყვეტილიყო ჩვენისთანა ხელ-მოკლე და უსწავლელი, უდიპლომო, კაცი. ეხლა კი, იცი, ჩვენ ხელში გადმოდის სოფელი. სახელითაც და სახრავითაც; ჩვენა გვრჩება ხელმძღვანელობა სოფლისა; ჩვენ ვხდებით დღეს სრული ბატონი და პატრონი მისი. ხუმრობაა, რამდენიმე ასი და ათასი ადამიანის სულიცა და ხორციც შენს ხელში უნდა იყოს! მეტი-და გინდა?

ჩვენც ყოველგვარი მეცადინეობა და გამჭრიახობა უნდა გამოვიჩინოთ და მაგრად დავიჭიროთ ჩვენი საქმე, რომ ხელიდამ აღარ გამოგვეცალოს კარზედ მომდგარი ბედნიერება.

— ეგ ყველაფერი კარგია, მაგრამ რო ამბობენ „ეშმაკებს ღვინო არსად ჰქონდათ და ტიკებს კი ალბობდნენო“, შენი საქმეც სწორედ ისეა. ჯერ ეგზემენია არ დაგიჭერია, მრევლი არ გიშოვნია, ღვდლათ არ უკურთხებიხართ და შენ კი ისე ჰლაპარაკობ, თითქოს ანაფორაში იყო გამოწყობილი და პრიხოდში იჯდე. კარგი, ვთქვათ, ეგზემენია დაიჭირე, მრევლი? რომელი მრევლი ამოგირჩევს და მოგიიხოვს? ვინ გიცნობს და სად გიცნობენ, რომ ამოგირჩიონ ღვდლათ?

— ვაიმე, შენ კიდევ ბავშვი ჰყოფილხარ! ცნობა რა საჭიროა? ეხლა საქმე მარტო ფულზედ. არის და მოკიდებული, ფულის საქმეა ყველაფერი. რომელ მამასახლისაც კი დავანახვებ ოცდა ხუთიანს, გაჭირდა, ხუთ თუმნიანს საქმე გაჩაჩხულია!

— თუნდა ათიც დაგეხარჯოს, რა ზარალი გექნება, თუ კი მოახერხებ?

— მოვახერხებ კი არა, სულ იორღით წავიყვან საქმეს, შენ მიყურე! ვაჭრობა ველარ გავმართე, თუ გაჭირდა საქმე? რასაც ეხლა იხდიან ღვდლის სასარგებლოდ, იმის ნახევარსაც რომ დავჯერდე, რა წაგებაში ვიქნები? რომელი მრევლი არ დამეაბულდება ამაზედ? სულთამამობით მამიწერენ ხელს პრიგავორზედ!

როცა ჩათლუამ სიტყვა საქმეთ გადააქცივა, მაქსიმე მაშინ კი აღარ იჭვნეულებდა ღვდელობის მიღებაში და საქმეც სულ სხვანაირად დაიწყო: ჯერ განაჩენი იშოვნა მრევლიდამ და მერე ეგზემენიის საქმეს შეუდგა.

მტერ-მოყვარე.

(გაგრძელდება)

# უკუდო ფილოსოფოსს

ერთხელ შეჰყეფა ბალდანოვს,
გადუსროლა ორი სიტყვა;
და იმ დღიდგან ბევრს ყოყოჩობს,
სჩანს სახელი რომ გაითქვა!
„ტუზათ“ თავი მიაჩნია,
ემძიმება დედა-მიწას—
და ამაყათ გამომხედი
სულ უცქერის მაღლა ზეცას...
გამარჯვებას როცა ეტყვი,
შამოგხედავს როგორც ბუზსა;
რაღაც ნაზობს, თითქო არ გცნობს,
გაკვირვებით გიხდის ქუდსა!
„პენსნე“-ს ცხვირზე გადაიდებს,
მუდამ ჰბერავს თავის „პუზას“-ს;
ოხ, რა კოხტათ ამიწერა,
ვენაცვალე მე ჩემს მუზას!..

ლ. ჯაგრელი

## ოთხი წლის სამსახური

(სოფლის ექიმის ცხოვრებიდან)

მერე მდიდარ ვაჭარსაც იგივე დაუპირა, მაგრამ ის უფრო ხერხიანად მოიქცა და მალე შეირიგა ბატონი. შუადღე იქნებოდა, დრო შეარჩია, როცა არავინ იყო მაზრის უფროსთან, ეახლა და, შეყო თუ არა თავი მისადებ ოთახში, უფროსის დანახვის უმალვე დავარდა მუხლებით ძირს და ჩოქვით მიფორთხდა მრისხანე ბატონთან. ამას გული მოულბა, ძლიერ გაეხარდა, წამოაყენა, მოისვა გვერდით და დიდხანს ესაუბრა. მას უკან ეს ორი პირი ძმური კავშირით დაუახლოვდენ ერთმანეთს. უფროსმა ყოველ-გვარი პრივილეგია მიანიჭა ვაჭარს; თავის მხრით ესეც, რასაკვირველია, არაფერს დაიშურებდა თავის კეთილის-მყოფელისათვის.

ერთი სიტყვით, მაზრის უფროსმა მუხრუჭი მოუჭირა, სული შეუხუთა დაბას. ამ დროს გავარდა ხმა, დაბაში „მიროვი პოსრედნიკად“ დანიშნეს ადგილობრივი მემამულე, ძლიერ დამოუკიდებელი, თავისებური, ჟინიანი კაციო. თუ დასჭირდა, მუშტი-კრივსაც არ დაერიდებაო: და სიმართლისთვის თავს გამოიდებსო. ასე გასინჯეთ. მაზრის უფროსიც კი შეაშინა ამ ხმამ, დაბას კი ცოტა იმედი მიეცა, რადგან ასეთ მოსარჩლეს მოელოდა. მობძანდა „პოსრედნიკიც“. მართლაც, უბრალო მცხოვრებლებთან ერთობ ამაყი და თავგასული იყო: ხელის ჩამორთმევასაც კი არ კადრულობდა. მაგიერად მაზრის უფროსს ძლიერ დაუმეგობრდა.

თუ როგორ ევადა შეშინებული მაზრის უფროსს თვით „დამოუკიდებელი“ ჩინოვნიკებიც,— ამას შემდეგი ამბავი გვიჩვენებს. ერთხელ „პარადის“ დღე იყო და „ჩინოვნიკებს“ ეკკლესიაში წასვლის მაგიერ უფროსის თანაშემწესთან მოეყარათ თავი და კარტის თამაშს შეექცეოდენ. უეცრად შემოვარდა ოთახში უფროსი „საპარადო“ მუნდირში გამოწყობილი ჯვარ-მენდლებით „გარიჩხული“, და საყვედურით მიმართა ჩინოვნიკებს: „მე მაქვს ფიცხელი მოწერილობა „ჟანდარმსკი“ გენერლისაგან, თვალ-ყური მეჭიროს თქვენზე; იმას გაუგია, რომ თქვენ „საპარადო“ დღეებზე ეკკლესიაში არ დაიარებით; მავალებს, დაგაბეზღოთ ხოლმე. იცოდეთ, გახსოვდესთ ეს ჩემი სიტყვა“. სიჩუმე ჩამოვარდა; მხოლოდ „პოდატნი ინსპექტორმა“ კითხა: „უმუნდიროთ, მარტო სერთუკი რომ ჩავიცვა და მივიდე ეკკლესიაში, ხომ არ გეწყინებათ.“— ნება გაქვთ, მიუგო უფროსმა. იქვე დაუსწრო ერთი ბოქაული; მიდგა მაზრის უფროსი და სულ სიქა გაართვა. ელაპარაკებოდა მრისხანედ: „თავს არ იფასებთ! იცოდეთ, რომ რუსეთში ბოქაულებს სახლში აღარავინ უშვებს, პატივს აღარ სცემენ; მაგალითად, ბოქაული რომ სოფელში მემამულეს მიადგეს „ნელოიმკაზე“, შინ კი არ მიიპატიჟებენ, არამედ „ფოდნოსზე“ დაუდე-